ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

განკარგულება:**გ-37. 3723186001**
თარიღი:**05/07/2023**

განკარგულება N47

5 ივლისი 2023 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ნარუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სკვერში (ს.კ. 26.27.07.005), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მებრძოლების უკვდავსაყოფად მემორიალური ობიექტის განთავსების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე პუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 ნოემბრის №18 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ნარუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სკვერში (ს.კ. 26.27.07.005), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მებრძოლების უკვდავსაყოფად განთავსდეს მემორიალური ობიექტი.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.

3. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი